გაზეთის ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—3)


**ქალია აქულას ასული კილასონიძისა** და **ვასილ, გრიგოლ, დავით და მიხეილ დიმიტრის ძენი კილასონიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებასა პირველის მეუღლისას, ხოლო დანარჩენთა—მამისას, **დიმიტრი იოსების ძის კილასონიძისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად პარასკევს, 31 ივლისს, დილის 9 საათზედ. (101)

სასწავლებელი და პანსიონი

ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში). (20—103—3)

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით უცხადებს ამა ბანკის ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთ, რომ, რადგან 26 ივლისისათვის დანიშნული კრება არ შესდგა კანონიერ წევრთა შეუკრებლობის გამო, მეორე საგანგებო საზოგადო კრება დანიშნულია 11 აგვისტოსათვის, დილის 10 საათზედ, ქ. ტფილისში, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ.

განსახილველი საგანი:

ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის მმართველობის საერთო მოხსენება იმის შესახებ, რომ 12,000 მანეთი გადაიდოს ხოლერასთან საბრძოლველად ტფილისის გუბერნიის სოფლის მკვიდრთა უზრუნველ-საყოფელად. (3—2)


### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში დილით 28 ივლისს იყო 7 კაცი და 3 ქალი ხოლერით ავადმყოფი. იმავე დღეს მიიყვანეს ერთი მამაკაცი, შახბაზ მურადოვი (პეტრე-პავლეს ქუჩა, ბაისოლოლოვის სახლი), და ერთი ქალი — ულიანა პობნიაკოვისა (9 ნაწ., აგურის ქუჩა, ს. აგარაშვილისა). მორჩა ერთი ქალი—ბარბარე დონგაძე; გარდაიცვალა ორი კაცი: ასლამაზოვი, მურადოვი, და ერთი ქალი, ნინო ვოლფრამი. დილით, 29 ივლისს, დარჩა ავადმყოფნი 6 კაცი და 2 ქალი.

სპარსელთათვის აგებულ დროებით ბარაკში მიიყვანეს 28 ივლისს აბდულლა-იბრაჰიმ-ოღლი (6 ნაწ., სახ. ჯანგულოვისა), რომელიც საღამოზედ გარდაიცვალა; დილით 29 ივლისს დარჩა ერთი ავადმყოფი.

27 ივლისს გახდნენ ავად და სწამლობენ სახლებში: ელენე მიხაილოვისას, 17 წლისა (სახ. პანკინისა, დიდუბე); 28 ივლისს პრასკოვია ნედოსპასოვა (მოსკოვის ქუჩა, საკ. სახლი); სულეიმან დერგასოვი, ჯარისკაცი (7 ნაწ., რიყე, სახლი სტრასულისა); იულია სუკნიანიკოვისა, 54 წლისა (7 ნაწ., ურიების ქუჩა, № 6); ისააკ სიკლიშვილი, მცხოვრები სოფ. კარდანახისა (7 ნაწ., მეორე ლინეინის ქუჩა, № 7); იაკობ ლისაკოვი, 28 წლისა (7 ნაწ., კონსტანტინეს ქუჩა, სახლის ნომერი 32); ელენე განსევსკისა (10 ნაწ., ალექსანდრეს ქუჩა, № 18); სოფიო მაისურაშვილი, 40 წ. (ახალი არსენალის ქუჩა, სახლის ნომერი 21).

მეტეხის სატუსაღოს სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი პატიმარი მარტიროზ კიზირბალოვი.

სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირში 27 ივლისს ავად გახდა ნინო ხელაშვილისა, რომელიც იმავე დღეს გარდაიცვალა.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება, რომ ზემო-ავჭალაში 27 ივლისამდე გარდაიცვალა ხოლერით 6 კაცი და დარჩა სამი ავადმყოფი; ავადმყოფთათვის ააგეს ცალკე, განსაკუთრებული შენობა და მოაშორეს კარგა მყოფთ.

დუშეთის მაზრის უფროსმა წარმოადგინა ნუსხა, რამდენიც გამხდარა ავად 25—27 ივლისამდე ბაზალეთის საბოქაულოში. სოფ. ანანურში გამხდარა ავად ერთი, გარდაცვლილა ერთი; სოფ. არანიდში გამხდარა ავად 5, გარდაცვლალა 2.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი შემოწირულებანი სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან ბრძოლისათვის, შეკრებილნი ბ-ნ ივ. ზედგინიძის მიერ: ნიკო ბალატუროვმა 1 მან., სოლომონ გელოვანმა 50 კაპ., აბრამ ელიზბაროვმა 1 მ. 50 კაპ., ვანო ბებუროვმა 1 მან., მიხეილ დედუკოვმა 50 კაპ., დავით ფეთრაძემ 50 კაპ., მიხეილ ამირიძემ 50 კ., კონსტანტინე დავიდოვმა 50 კ., ლაზარე გულვამ 1 მ., სოლომონ კაციმ 1 მ., გაბრიელ ჩარახჩიანმა 1 მ., გრ. მ. ზვონიაროვმა 1 მ., კონსტანტინე ჩითაევმა 50 კ., მადამ მალმმა 1 მ., ივანე ემელიანოვმა 1 მ., თედოტოვმა 2 მ., აბრამ მუხარინსკიმ 1 მ., ილიკო მაჭავარიანმა 1 მ., სტანისლავ ჩარახჩიანოვმა 2 მ., დ. ო. ბერნგარდმა 1 მ., ეფემია ჩომახოვისამ 50 კაპ., მიხეილ მრევლიშვილმა 50 კ., გაბ. ის. სალამბეკოვმა 1 მ., დეკანოზმა ბესარიონ ზედგინიძემ 5 მან., დავით ბესარიონის ძემ ზედგინიძემ 3 მან., ივანე ბესარიონის ძემ ზედგინიძემ 2 მ., ალექსანდრე ივანეს ძემ ამირაღოვმა 1 მ., ივანე ნიკოლოზის ძემ ზედგინიძემ 2 მ., პლატონ ზედგინიძემ 1 მანეთი, სულ 35 მან. 50 კაპ. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 364 მან. ამიანად შესდგა 399 მან. 50 კაპ.

უმორჩილესად ვსთხოვთ რუსულ გაზეთების რედაქციებს, რომ ეს სია შემომწირველთა იმათაც გამოაცხადონ, რადგან ზოგიერთს შემომწირველს არ შეუძლიან წაიკითხოს ქართულს გაზეთში თავისის შემოწირულების ამბავი.

*** ორშაბათს, 27 ივლისს, ტფილისის გუბერნატორის თავ. გ. დ. შერვაშიძის თავმჯდომარეობით კრება მოხდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სასანიტარო კომისიისა. კრებას კომისიის წევრთ გარდა დაესწრნენ რკინის გზის უფროსი ინსპექტორი გრაჩევი, ქალაქის მოურავი და სასანიტარო მეთერთმეტე დასის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ნიკოლაძე. კომისიამ

## ფელეტონი

### ყოველ თთვიური პროვინციელისა

ივნისი

(წერილი გურიიდგან)

ივნისმა ისეთი უბედურება მოგვაყენა კარს, ისეთი საშინელი მტერი გვასტუმრა, რომ ამ ნაირად სხვა რამეზედ საუბრის გამართვა ქვეყნის ორგულობად და თან გულქვაობადაც მიმაჩნია. ხოლერამ სხვა ყოველ გვარი ფიქრი, სხვა ყოველ გვარი ზრუნვა არსებობისათვის უკუ აქცია და ჩვენი ყურადღება, თითოეულისა ცალკე და ყველასი საერთოდ, სრულიად და სავსებით დაისაკუთრა. ღმერთმა ინებოს, რომ ეს მართლა ასე ყოფილიყოს და ხოლერა—ეს მძვინვარე და ულმობელი მტერი ადამიანის სიცოცხლისა სირცხვილ-ჭმეული გაბრუნებულიყოს ჩვენის ქვეყნიდგან. ეს არც იმდენად ძნელი და შეუძლებელი საქმეა. ხოლერის მოსისხლე მტერი სიწმინდე და სისუფთავეა, ხოლო იმისათვის თავ-დადებული მეგობარი სიბინძურეა. მაშასადამე, თუ გვინდა ხოლერის უსიამოვნო დარბაზობა ავიცილოთ თავიდგან, უნდა განვიწმინდნეთ და განვიბანნეთ. მერე რომ იცოდეთ, რა ადვილი და მარტივია აქ დასახელებული სიწმინდ-სისუფთავე! რა ძნელი და მოუხერხებელი საქმეა, თუ ღმერთი გწამდეთ, ეზო-კარ-მიდამოსი და სახლ-სადგომის გასუფთავება, საცმელსა და სასმელ-საჭმელში წეს-რიგის დაცვა! ხოლერა რომ ისეთი მარჯვე ბიჭი იყოს, გრძნობა-გონების სიდუხჭირესა და სულისა და გულის უსუფთაობასთან ჰქონდეს საქმე, მაშინ სულ სხვა იქნებოდა. მაშინ ვერავითარი სანიტარული ღონისძიება ვერ გვიშველიდა, ყოველ გვარი ბრძოლა მასთან ამაო იქნებოდა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ეს ასე არ არის და ობ-მოკიდებულის სულისა და ჟანგიანის გულის კაცები ადვილად გადურჩებიან ხოლერას, თუ, რასაკვირველია, გარეგნად გასუფთავდებიან...

როგორ წარმოვიდგენდი, თუ შინაგან და სულიერ უსუფთაობასთან ერთად გარეგანი უსუფთაობაც დაგვატყდებოდა თავს. თუ კორესპონდენტებს დავუჯერებთ, სამწუხაროდ, ეს ასე ყოფილა და თუ ეს ხოლერა არა, ჩვენი დაბა-სოფლების მკვიდრნი თურმე სიბინძურეში ჰლევდნენ სულს. ვაშა, ვაშა და ბარაქალა მაგ სასწაულთმომქმედ ხოლერას, რომ სისუფთავისათვის გაგვანძრევინა ხელი! ერთი იმ ხასიათის ხოლერაც რომ გამოტყვრებოდეს, სულისა და გულის სიწმინდეზედ აგვატკიებდეს თავს, მეტი აღარა მინდა-რა. ვნახოთ, მაშინ ვინ იკისრებს სანიტარობას, ან სადეზინფექციო წამლების მომზადებას! ვნახოთ... მაგრამ რა ნახვა მინდა, რომ უნახავადაც ვიცი, ჩემგან დასახელებულ ხოლერის წინააღმდეგ სანიტარი სანთლით საძებნელი შეიქნებოდა, ხოლო სადეზინფექციო წამალს წამლადაც ვერავინ იშოვიდა. ასე თუ ისე, შევატყობდით მაინც, სად იყო ჭეშმარიტი სისუფთავე და სად არა. ეხლანდელი ხოლერა უფრო დაბლა სართულებსა და ქოხმახებში დაძვრება, ხოლო ის... ის... ჩემი ხოლერა მაღლა სართულებისა და სრა-სასახლეებისაკენ გაუდგებოდა სარევიზიოდ. ეხლანდელი ხოლერა ძონძებში გახვეულ ხელ-მოკლეებს ეტანება, ჩემი ხოლერა-კი ზიზილ-პიპილითა და დიბა-ატლასით მორთულებს მოსთხოვდა ანგარიშს.

**

ხუმრობა გაშვებით იყოს, ხოლო სახუმრო განსაცდელში არ არის ჩვენი ქვეყანა ჩავარდნილი და განსაცდელის შესაფერად-კი ვერა ვართ მომზადებული. ქალაქები კიდევ ჰო, როგორც იქნება, ექიმებსაც იშოვის და ფერშლებსაც, წამალიც ექნება, სანიტარებიც ეყოლება. საქმე სოფლებია. ღმერთმა-კი დაგვიფაროს, თუ სოფლებსაც ესტუმრა ეს არა სასურველი სტუმარი, სადა ჰყავს სოფელს პატრონი! და პატრონიც რომ ამოუჩნდეს, სად არის ან ექიმი, ან ფერშალი? აქამდე ბევრი ქვეყნის გულშემატკივარი იმ აზრისა იყო, რომ სასწავლებლების რიცხვი შევამციროთ, ნასწავლი და მცოდნე კაცები გვეყოფა და მოგვრჩება კიდეც, იმდენი გვყავსო. ამ აზრს, როგორც მახსოვს, თვით „Гражданинъ“-იც ჰმობრეობდა, ჰმობრეობდა-კი არა, სულ იმის გამჭრიახობის ნაყოფი იყო. ქვეყნის ორგულები-კი ამტკიცებდნენ და ასაბუთებდნენ, რომ ჯერ არა ვართ იმდენად განათლებული, რომ სასწავლებლებს კარები გამოვუკეტოთო. ყოვლის შემძლებელმა ხოლერამ ეს საკამათო საგანი ქვეყნის ორგულთა სასარგებლოდ გადასჭრა. ქვეყნის გულშემატკივარნი შეიძლება ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ, მაგრამ ქვეყანამ ხომ ცხადად დაინახა, რომ არა თუ ექიმი, ფერშალიც არა გვყავს თურმე იმდენი, რამდენიც საჭირო ყოფილა. დღეს ხომ ეს დამტკიცდა. ხვალ რომ ღმერთმა მოგვხედოს და ისეთი სენი გაჩნდეს ჩვენში, თითოეულმა სოფელმა, თითოეულმა საზოგადოებამ სამეურნეო სასწავლებლის დაარსება მოინდომოს, ისიც დამტკიცდება, რომ ნასწავლი მეურნენი, აგრონომები არ დაგვირჩება და სხვა და სხვა.

**

სტენლიმ, რომელმაც აფრიკის უდაბური მიდამოები მიმოვლო, შეისწავლა, აღწერა და ქვეყნიერობას გააცნო. დიახ, ამ სტენლის შეეშალა ნახტომი! ამ ვაჟბატონმა სახელი შესანიშნავის მოგზაურისა და მკვლევარისა არ იკმა-

ერთ-ხმად გადასწყვიტა, მიჰმართოს კავკასიის მთავარ-მმართებელს და სთხოვოს: მცხეთაში გაიმართოს სადეზინფექციო სადგური, რომელშიაც ყველა რკინის გზით მომავალი მგზავრი და იმათი ნივთები სადეზინფექციო წამლებით უნდა აპკურონ.

ტფილისის ქალაქის მოურავის თხოვნით, კომისიამ გადასწყვიტა აგრეთვე: გორიდგან, ახალქალაქიდგან და სხვა ადგილებიდგან მომსვლელთათვის ტფილისში სადეზინფექციო სადგური გაიმართოს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურის მახლობელ ბაღში ამ დღეებში დაარსდება კიდევ ერთი საჩაიე (რიცხვით მეთხუთმეტე) ვოგაუსა და კომპ. ხარჯით.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც ჯარისკაცთ აკრძალული აქვთ ბაღებსა, ტრაქტირებსა და დუქნებში შესვლა. ამ ბრძანების ასრულება დაევალათ ტფილისის ბოქაულებს.

*** ქალაქის მოურავმა განკარგულება მოახდინა, რომ: 1) სხვა-და-სხვა ნაწილის სასანიტარო ექიმებმა ყოველ დღე გასინჯონ ის ხოლერით ავადმყოფები, რომლებიც თავ-თავიანთ სახლში წვანან, თუ გინდ გარეშე ექიმიც სწამლობდეს მათ; 2) სასანიტარო ექიმებმა და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის წევრებმა თვალ-ყური ადევნონ, რომ რიგიანი იყოს ის ხილი, რომლის გაყიდვაც ნება-დართული არის და 3) ის ტანთსაცმელი, რომელიც ხოლერიან ავადმყოფების სიკვდილის შემდეგ რჩებათ, დაიწვას ხოლმე განიერსა და ღია ქუჩებში და არა ვიწრო ქუჩებსა და ეზოებში.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი გვთხოვს დავბეჭდოთ ჩვენს გაზეთში, რომ იგი გულითადს მადლობას უცხადებს ფულის შემომწირველთ უფასო საჩაიოებისა და სასადილოს სასარგებლოდ.

*** ქართველთ მაჰმადიანთ სახალხო მელექსის ჰუსეინ კამჯარაძის ლექსები ცალკე შეუკრებიათ და დასაბეჭდად უნდათ გამოჰგზავნონ.

*** გაზეთ „Т. Л.“-ს სწერენ: იმის გამო, რომ ბაქოში ხოლერამ ძალიან იკლო, იქ გაგზავნილი ექიმები უკვე ბრუნდებიან ტფილისში. სხვათა შორის დაბრუნდნენ ტფილისში ექიმები გურკო და რუბინშტეინი. ამათში რიუბინშტეინი გაგზავნილი იქმნა ხაშურში, რათა თვალ-ყური ადევნოს ხოლერიან ავადმყოფებს.

*** გაზეთ „Карсъ.“-ში დაბეჭდილია: ბაქოს გუბერნიის ყუბანის მცხოვრებელთ მუსულმანთ სთხოვეს მთავარ-მმართებელს: ჩვენი ხოლერით ავადმყოფები სახლებში გვყავდეს და გარდაცვალებულნი იმ წესით დავმარხოთ, რა წესსაც ჩვენი რჯული მოითხოვსო. მთავარ-მმართებელმა ეს თხოვნა შეიწყნარა.

*** გაზეთ „Нов. Обоз.“-ს სწერენ: ავლაბრის უფასო საჩაიეში ერთის კვირის განმავლობაში დალიეს ჩაი 11,650 კაცმა, მუდამ დღეს-კი 2,000 კაცი სვამს უფასოდ ჩაის. ამას გარდა საჩაიეში ყველა მსურველთ ეძლევათ ადუღებული წყალი წითელ ღვინით. დილით ჩაისთან ერთად პურსაც აძლევენ.

*** იმავე გაზეთს სწერენ: იმ უფასო სასადილოში, რომელიც 23 ივლისს დაარსდა ალექსანდრეს ბაღში, პირველ დღეს 450 კაცმა ისადილა.

*** გაზეთ „Т. Л.“-ში ვკითხულობთ: ვენაში ერთს გლეხს მოუგონია ფილოქსერის წამალი და ამ წამლის კეთების საიდუმლო მიუყიდნია საფრანგეთის ღვინის მწარმოებელთათვის 30,000 ფრანკად.

*** ერევნიდგან სწერენ გაზეთს „Кавказъ“-ს, რომ ერევნის გუბერნიაში ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილი მკურნალი ბ-ნი ნოვიკოვი ხოლერით გარდაიცვალაო. ერევნის გუბერნიაში კიდევ ორი მკურნალი გამხდარა თურმე ხოლერით ავად.

*** იგივე გაზეთი იუწყება: 14 ივლისს სამარყანდში გარდაიცვალა მკურნალი ნადვორნი სოვეტნიკი დმიტროვსკი.

*** გაზეთი „Каспій“ იუწყება: 25 ივლისს, დილის 7 საათზედ, ლალაევის სახლში, მირ-ისმაილ-სეიდ-მირზა-ოღლის ნავთის საწყობში უეცრად ბენზინი აფეთქდა და საწყობს ცეცხლი წაეკიდა. საწყობში ამ დროს იყვნენ: მირზა-ოღლის ნოქარი მეშადი-გაშუმ რაღიმოვი, იმისი შვილი ალა-მეხდი, მეურმე გიტულა-გაინულინი და ნოქარი დიმიტრი ციბიანი. ციბიანმა საწყობის ფანჯარა გასტეხა, გადმოხტა და ისე გადარჩა. ყმაწვილი ალა-მეხტი ცეცხლში დაიწვა. დანარჩენები: მეშედი რაღიმოვი და გაინულინი ძლიერ დაშავდნენ და იმათის მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** 27 ივლისს ლაბორატორიის ქუჩაზედ მცხოვრებელმა პოლკოვნიკმა პეტრე სემიონოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემს სახლში არ ყოფნის დროს ჩემის სადგურიდგან 1,000 მ. ოქრო-ვერცხლეული მოუპარავთო.

## მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის საინჟინრო ჰარკის კაპიტანი მაქსუთ-ბეგ ყორჩიბაშევი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან პოდპოლკოვნიკის ჩინით, მუნდირითა და პენსიით.

აზნაური ნესტორ კახიანი დანიშნულ იქმნა ჟუღდის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ.

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე იოსებ ტატიშვილი გადაყვანილ იქმნა ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ივლიან მახარაძე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

ნუსხა იმ სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც უწმიდესის სინოდის მიერ დაჯილდოებულ იქმნენ მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევის დღეს.

საქართველოს საექსარხოსოში:

ა) კვერთხი ებოძათ: გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ცაიშის ღვთისმშობლის მამინების ეკკლესიის დეკანოზს მიხეილ მეუნარგიას.

ბ) დეკანოზობა ებოძათ: ქართლ-კახეთის ეპარქიის, ქ. ტფილისის ივერიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელს სოლომონ ელიოზიშვილს; იმერეთის ეპარქიის, ქ. ქუთაისის საკათედრო ალექსანდრე ნეველის ტაძრის მღვდელს იოსებ ჰეიშვილს; იმავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრის სოფ. სვირის მღვდელს მიხეილ მჭედლიძეს; კავკასიის ეპარქიის, თერგის ოლქის სოფ. ნარის ეკკლესიის მღვდელს გიორგი ბალაძეხეთაგურს; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სავაჭრო ორ-შტატიან მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელს თევდორე ხოშტარიას.

გ) გულის ჯვარი ებოძათ: ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს, მღვდელ-მონაზონს ისიდორეს; იმავე სემინარიის ინსპექტორს, მღვდელს-მონაზონს ფილარეტს; კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მისიონერს, მღვდელ-მონაზონს ლეონიდს; ქართლ-კახეთის ეპარქიის, გორის მაზრის სოფ. სალოლაშენის მღვდელს თევდორე ყიფშიძეს; იმავე ეპარქიის, თელავის მაზრის სოფ. გულგულის მღვდელს თომა მირიანაშვილს; იმერეთის ეპარქიის, მღვიმეს დედათა მონასტრის წინამძღვარს, იღუმენია ელენეს; იმერეთის ეპარქიის რაჭის მაზრის სოფ. სამოწის ეკკლესიის მღვდელს ტიმოთე იაშვილს; იმავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრის სოფ. კონტასტეს ეკკლესიის მღვდელს პეტრე ჩარგეიშვილს; შორაპნის მაზრის სოფ. თუზის ეკკლესიის მღვდელს ბესარიონ ყიფშიძეს; სუხუმის ეპარქიის, სამურზაყანოს განყოფილების, სოფ. გუდავის ეკკლესიის მღვდელს მათე ხარებავას; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, შუა-ხმაღლების იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელს ქრისტეფორე დოლიძეს; იმავე ეპარქიის, ონტკოფის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელს მამანთე ფევაძის; იმავე ეპარქიის, ჩიბათის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელს იოანნე ჟორჟენაძეს.

(დანარჩენი შემდეგ)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. წილკანი** (დუშეთის მაზრა), 20 მკათათვე. იმითი ვართ შესაბრალისნი, რომ, რაც უნდა დიდი უბედურება მოგველოდეს, ჩვენ უზრუნველობის მეტს ვერას გავახნებთ ჩვენის კეთილდღეობისათვის. ხოლო, როდესაც კარზედ მოგვადგება ჭირი, მაშინ წავიშენთ თავსა და პირში, მაშინა გვწამს ერთმანეთი, მაგრამ უდროოდ, ცოდოს ველარ მოვინანიებთ, ველარათი ვშველით თავსა. დღეს ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა დიდი ჭირი, ხოლერა, რომელმაც ათასობით იმსხვერპლა ხალხი სხვა-და-სხვა ადგილებში და, დღეს თუ ხვალ, ჩვენ საცოდავს სოფელსაც ეწვევა ეს გაუმაძღარი სტუმარი. ამ ჭირს ბაქოს მთავრობა გულ-ხალვათად მოეპყრა, დროით ვერ ეცადა სხვა-და-სხვა საშუალებით შეესუსტებინა, ვიდრე ფეხს მოიკიდებდა და ხალხს ათასობით დაუწყებდა ყლაპვას. მართალია, ბაქოელებს სხვებიც წაეშველნენ, შემწეობას აძლევენ, შესაფერადაც ებრძვიან ავადმყოფობას, მაგრამ მაინც ბევრი იხოცება ბაქოში, ვიდრე ტფილისში, სადაც თითქმის ვერას აკლებს, რადგანაც იქაურები დროით შეემზადნენ და ღირსეულად დაუხვდნენ. რა თქმა უნდა, ჩვენც უნდა მივბაძოთ ტფილისელებსა და ვეცადნეთ როგორმე თავიდგან ავიცდინოთ ჭირი. ნაგვისა და საქონლის პატივისაგან გავასუფთავეთ სოფელი. უწმინდურობას დღესაც უწინდელივე ადგილი ეჭირებოდა, თუ ხოლერას მთავრობისთვის და ამას კიდე ჩვენთვის ძალი არ დაეტანებინა. მაგრამ მარტო ნაგვების გატანით ვერ დავიცავთ თავსა, საჭიროა აგრეთვე ყოველ მხრივ გავასუფთაოთ ცხოვრება, იოგოლოც გვიოიევენ ექიმები. განათლებული ხალხი იმისათვის გვიყვარს, რომ გაუგებარ და უცოდინარებს თვალებს გვიხელენ, სინათლის გზაზედ გვაყენებენ და უბედურების დროს ჩვენთვის არაფერსა ჰზოგავენ. მაშ გაუმარჯოს ჩვენს მკურნალებს, რომელთ სწავლა-გამოცდილების კა-

---

ლა და მოისურვა შესანიშნავი დიპლომატი გამხდარიყო. ხოლო შესანიშნავი როგორ გახდებოდა, თუ შესანიშნავ კაცის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა და არ დაამარცხებდა. ესეც მოიქცა. მის თანამემამულეთა შორის გლადსტონზედ უშესანიშნავესი კაცი არ მოიპოვებოდა და სწორედ იმისაკენ მიჰმართა თავის ძალ-ღონე. სტენლმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ გლადსტონი მოხუცდა, სახელმწიფო მოღვაწედ სავარგისი აღარ არის, იმას პენსია დავუნიშნოთ, ხოლო მის ალაგას მე ამომირჩიეთო. მე გლადსტონზედ უკეთესი ვიქნები, უფრო კარგად წარმართავ ქვეყნის საქმესაო. მე თუ არ დამიჯერეთ, აგერ ჩემს თანამოსარეცლეს, ჩემ ცოლს ჰკითხეთ, თუ ეს ასე არ იქნებაო. ცოლმაც, არავის არ უკითხავს ისე, აღახვნა ბაგენი და დიდის თავ-გამოდებით აქო თავისი ქმარი. სრულიად გამოუკვლეველ და შეუსწავლელს ქვეყნებში გაიგნო გზა ჩემმა ქმარმაო, სთქვა ქ-ნმა სტენლისამ, და რა დიდი საქმეა, რომ თავის მამულში არ აერიოს გზა და კარგად წაიყვანოს ქვეყნის საქმეო... ბევრ ასეთს ბრძნულს იტყოდა ეს არა ნაკლებ ბრძენი მანდილოსანი, მაგრამ აღარ დააცალეს, ეს იმასა ჰგავს, მელამ რომ თავის კუდი მოწმად მოიყვანაო, უთხრეს. ხოლო რა-კი ეს უთხრეს, ადვილად მისახვედრია, რომ ბ-ნი სტენლი გაწბილებულ იქმნა და არაფრადაც არ ამოირჩიეს.

**

გარეშე ამბებიდგან დავუბრუნდეთ ისევ შინაურ ამბებს. ავილოთ თუნდ ოზურგეთი. ხოლერამ აქაურებიც დიდად დააფაცურა. მთავრობა და მკვიდრნი ერთობილის ძალითა და მხნეობით სცდილობენ, რაც შეიძლება გულ-ძვირად შეხვდნენ ამ უსიამოვნო სტუმარს. ქალაქმა ხუთასი მანეთი გაიწერა ბარაკის ასაგებად და მოსაწყობად. თუმცა, ამ საქმისთვის ეს ცოტაა, მაგრამ, იმედია, საჭიროების დროს მეორე და მესამე ხუთას მან ეთსაც მოისაკლისებენ... რაღა დროს ფიქრი და ანგარიშია, როცა უბედურება კარებზედ გვიკაკუნებს. თუ ბათუმში იჩინა თავი ხოლერამ, უეჭველია, უნახავად არც ოზურგეთს გაუშვებს. მაშასადამე, ოზურგეთს კერძოდ და გურიას საზოგადოდ დიდი მზადება და თავის შეტკივება ესაჭიროება. გურულებზედ ამბობენ, რომ წმინდა და ფაქიზი ხალხიაო, ხოლო თუ ხოლერას ბინა ვუშოვეთ, სულ წინააღმდეგს დავამტკიცებთ. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ერთი მეტად სასიამოვნო ამბავი, რომელიც, თუ საქმედ გადაიქცა, სასურველ ნაყოფს მოისხამს. ოზურგეთში კნ. ნინო გურიელის თაოსნობით და თავმჯდომარეობით შესდგა ეგრედ წოდებული დედათა წრე, რომელსაც აზრადა აქვს ხოლერას ებრძოლოს, თუ ვინიცობაა ამ საშინელმა სენმა ჩვენშიაც შემოსდგა ფეხი. დედათა წრეს წევრებმა უკვე დაჰყვეს უბნებად ოზურგეთი და შეუდგნენ განსაკუთრებით დედათა შორის ფულის შეგროვებას ამ ჩინებულ აზრის განსახორციელებლად. ამასთანავე ეს პატივცემულნი დედანი ჰქადაგებენ სიწმინდე-სისუფთავის მნიშვნელობას ხოლერის დროს და ავალებენ ქალებს ოჯახში სისუფთავის დაჭერას, რადგანაც ეს საქმე ჩვენში ყოველთვის ქალების ხელ-შეუხებელი კუთვნილება ყოფილა. მართალიც არის. ოჯახის სისუფთავეში ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი, თუ არ ოჯახის დედას, რომელიც ნიადაგ თავისს ოჯახსა და კერას უნდა დასტრიალებდეს გარს. იმედია, სიფაქიზითა და სიკეკლუცით განთქმულნი გურულნი მანდილოსანნი თავიანთ უნარს სიფაქიზისას სრულიად და სავსებით გამოიჩენენ ამ გაჭირვების დროს და არ შეგვარცხვენენ და არ შერცხვებიან. იმედია, დროებით მიატოვებენ ფერ-უმარილს და ცოცხსა და ნიჩაბს მოჰკიდებენ ხელს ეზოს და კარ-მიდამოს გასაწმენდ-გასასუფთავებლად.

**

ხოლერას გარდა, ჩვენში სალაპარაკო და საამბო საგნად გამხდარა მაზრის ძველის მმართველის წასვლა და მაზრის ახალის უფროსის მოსვლა. თითქმის ერთი თთვე იქნება, რაც ძველმა მმართველმა დაუტევა გურია, ალბად იმიტომ, რომ

სადა არა სჯობს, გაცლა სჯობს
კარგისა მამაცისაგან.

იმის ნაცვლად დაინიშნა ჩვენში ქუთაისის მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი ი. ა. სოკოლსკი, რომლისათვისაც ჯერ, ღირსებას გარდა, წუნი არაფერი შეგვიმჩნევია. ბ-ნ სოკოლსკის, როგორც დავინახეთ და გამოვსცადეთ, ჩვეულებად ჰქონია საქმის ყოველ გვარი მხარე და ყოველი წვლილი გულ-დამშვიდებით გამოიკვლიოს. ლაპარაკის კილო და სახის გამომეტყველება უმტკიცებს, რომ შემბრალე და მოწყალე გულის პატრონია და ჟინის გამო, რომელსაც კაპრიზი ეწოდება, უმიზეზოდ და უდანაშაულოდ კაცს არ გასწირავს. ყოველ ამას გარდა, ბ-ნ სოკოლსკის უმაღლესი განათლება მიუღია და ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიდად ეყვარება წარმატება და განათლება იმ ხალხისა, რომლის პატრონობაც უკისრია. ღმერთმა ჰპრძანოს, რომ ეს ასე ყოფილიყოს და ეს უკანასკნელი იმედი არ გაგვცრუებოდეს. ჩვენ უკვე ვიგემეთ იმედის გაცრუება და უწყალოდ ვიგვემეთ კიდეც ამის გამო. განა არ უნდა გვეკმაროს იმდენი სიმწარე, იმდენი ნაღველი, იმდენი ცეცხლის თვალში გატარება და ვაი-ვაგლახი, რამდენიც ამ სამისა თუ ოთხის წლის განმავლობაში გადაგვხდა სულ რაღაც კაპრიზების წყალობით!..

დათიკო ვერმიცანაშვილი

ღთას შევფარებივართ და მამობას გვიწევენ, რომელნიც ჩვენ დასახსნელად იბრძვიან, რაც ძალი და ღონე აქვთ. მხოლოდ ჩვენ ვერაფრად გვეჭაშნიკა ექიმების რჩევა, უთუოდ ადუღებული წყალი უნდა სვათო. როგორც იქნებოდა, მოვახერხებდით, თუ სუყველანი არა, ზოგიერთები მაინც ავადუღებდით, მაგრამ მაგარიც ეს არის: უბედურ წილკნელებს ხშირად ადუღარი წყალიც-კი გვენატრება და აყროლებულ გუბეებით ვიბრუნებთ სულს. ამ შემთხვევაში უფრო დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგანაც აყროლებულ გუბეში ადვილად იბუდებს და მრავლობს ხოლერის ბაცილა. დიაღ, ხოლერას ადუღებული წყალი სძულს და ჩვენ-კი უწყლოობით სულები გვეხუთება მუხრანის მემამულისა და იმის მოურავების წყალობითა. ყოველ წლივ უწყლოობა ჰბადავს აქ ხალხისა და საქონლის ავადმყოფობას, რომელიც დიდს ზიანს გვაძლევს: იხოცება ხალხი და პირუტყვი საქონელი.

ივერიის მკითხველებისათვის არა ერთხელ შეგვიჩივლია ჩვენი უბედურება და ეხლაც მოკლედ მოგახსენებთ, რაში მდგომარეობს საქმე. ძველის-ძველად ჩვენს სოფელზედ არის ჩამოჭრილი ორი არხი; ერთზედ ჩამოდიოდა ნარეკვისა და მეორეზედ—ქსნის წყალი. წყალი დენილა თავისუფლად და გზაში არავინ გადმოსდგომია, მხოლოდ ოც-და-ათი წელიწადი იქნება, ნარეკვის მახლობლად, ჩვენის სოფლის ზემოდ, სამის ვერსის სიშორეზედ, ბ-ნ მ—ს მამულზედ დასახლდნენ ოსები; აი, ამ ოსებმა, დასახლების უმალვე, ძალ-მომრეობით ჩვენი საკუთარი ნარეკვის წყალი მიაბრუნეს თავიანთ მამულებში და ამ გვარად ჩაგვაშხამეს ცხოვრება.

ნარეკვის წყალი ხომ წაგვართვეს და ქსნისასაც არ გვანებებენ, რომელსაც სისხლის ფასადა ვყიდულობთ ბატონისაგან. როცა-კი დასჭირდებათ ჩვენი თავი, ბატონიანი გვიბრძანებენ და ჩვენც უარის თქმა არ შეგვიძლიან: წყლის არხი ჩვენ მამულზედ არის გამოყვანილი და თუ ჩვენს სამსახურს უარ ჰყოფთ, წყალს არ დაგანებებთო. რაც უნდა თავში საცემი საქმე გვქონდეს, თავს ვანებებთ და ბატონიანთ-კი არა ვღალატობთ, არ შეიძლება, თუ არ წავედით. ამითაც არა თავდება ჩვენი ტანჯვა. როგორც მოგახსენეთ, ნასყიდ წყალს გზაში ელობებიან ძალისელი ოსები, რომლებთანაც, კარგა ხანია, მოგვწყინდა ჩხუბი, კეტებით თავ-პირის მტვრევა და ბევრჯელ უწყლოობას ვრჩეობთ ჩხუბსა, იოლად მივდივართ ჰობების წყლით, რომელიც ორის ვერსის სიშორეზედ იქნება სოფლიდგან.

წრეულ ორჯელ მოვიდა აქ ინჟინერი წყლის თაობაზედ. უკანასკნელად ამ თვის 16-ს იყო. ნარეკვავითქვენი არისო, თუ ორი წილი ვერ მოხერხდა, ნახევარმა წყალმა მაინც უთუოდ თქვენკენ უნდა იდინოსო, ასე გათავდება ნარეკვის საქმეო. ქსნიდგანაც ახალი არხი გამოიყვანეთო, რადგანაც, მთავრობის განკარგულების ძალით, ამაზედ სრული უფლება გაქვთო დ ვერავინ დაგიშლითო. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ასე იყოს. მაშინ სულ სხვა ხანა დადგება ჩვენს ცხოვრებაში, ერთის სიტყვით, მაშინ ჩვენს იღბალს ძაღლი არ დაჰყეფს, თუ ხოლერას გადურჩით როგორმე.

მცხეთის ბოქაულმა გვიბრძანა შვიდ თუმან-ნახევარი წარმოადგინოთ სადეზინფექციო წამლებისათვის. ფული ხვალვე წარმოადგინეთო, თუმცა წამლები ჯერ არსადა სჩანს.

სოლ. ლაშაური

---

**სოფ. ხუმელაგა** (კავკავის მაზრა). თხუთმეტს მკათათვეს ძლიერ ცხელოდა: რომ ამოისუნთქავდა კაცი, ველარ ჩაისუნთქავდა თითქმის, ჩაისუნთქავდა და ველარ ამოისუნთქამდა. საღამოს ჟამმა მოატანა, მუშა ხალხმა დაიწყო მინდვრიდგან მოსვლა. აგერ გავარდა უცბად საზარელი ხმა, ერთი კაცი წაიქცა და გაშავდაო. გაგვიჩნდა ხოლერა. ხალხი შეშინდა, შეფრთხა. ერთად-ერთი მღვდელი თავ-გამოდებული დადის ხალხში და ნუგეშსა სცემს მრევლს... წავიდა დეპეშა მაზრის უფროსთან და ექიმთან ერთი, ორი, სამი და... მაგრამ სადაა? თხუთმეტიდგან დღემდე მთელი სოფელი ძირს დაეცა და იხოცება. ეს ყოველივე, ვისაც ჯერ არს, ესმის და ყურადღებას არ აქცევენ, ერთს ფერშალს არ უგზავნიან სოფლისავე ხარჯით. საქონლის ჭირი რომ გაჩნდება ხოლმე, სასტიკს ყურადღებას აქცევენ ხოლმე, და ხალხი უფრო ძვირფასი არ არის? თვრამეტს ივლისს ბოქაულმა ჩამოიარა რამდენისამე წამით ხუმელაგაში, ხალხმა ერთ ხმად შეჰბღავლა, გვიშველეთ რამეო, მაგრამ ასე უპასუხა ბოქაულმა: ვერსად ვშოულობთ თქვენთვის ფერშალს, თქვენ თითონ იშოვნეთო. ხალხმა მუშაობას თითქმის სულ თავი დაანება. აქ ხოლერით ავადმყოფთ ძლიერ რგებთ ხოლმე შემდეგი საშუალება: გახდება ვინმე თუ არა ავად ხოლერით, შალის ნაჭერს (პატყუს) იაავველებენ ნავთში, მაგრამ შეუკვრენ მუცელს: ნავთითვე უხელენ მუცელს, წვივებს, კოჭებს, საფეთქლებს, ყურის ძირებს, მკერდს, მაჯებს და სხვა ასოებს. ავადმყოფი ძლიერ შფოთავს ამ დროს, ესე მუცელ-შეკრული ორი საათი თუ შეუძლო, თუ არა-და, ერთი საათი მაინც უნდა ასე ამყოფონ ავადმყოფი, რომელსაც ცხელის წყლით სავსე ბოთლებსაც უწყობენ ლოგინში. ამ დროს მოსდით ოფლი და კარგად ხდებიან.

ისაკა რთინაშვილი

---

**ქსნის ხეობა** (დუშეთის მაზრა), 20 ივლისს. ამ ჟამად ქსნის განყოფილების ბოქაულმა მიიღო ტფილისის გუბერნატორის განკარგულება სასოფლო საზოგადოებათა შემოკლების შესახებ და სთხოვდნენ, ბოქაულს თავისი აზრი წარედგინა ამ საგნის შესახებ. ბ-ნმა ბოქაულმა დაუყოვნებლივ შემდეგი აზრი წარადგინა: ქსნის ხეობის საპოლიციო განყოფილება უნდა შემოკლდეს სამ სამამასახლისოდაო; თითოეულს საზოგადოებაში უნდა იყოს დანიშნული მთავრობისაგან მამასახლისები, რასაკვირველია, მცოდნედა საქმის ამსრულებელნი. ეს სამი სამამასახლისო შესდგება 156 სოფლისაგან, რომლებშიაც 2458 კომლი მცხოვრებელია. ეს სამი სამამასახლისო უნდა იყოს: ახალგორისა, მონასტრისა და ზახორის სამამასახლისოდ; პირველში იქნება 890 კომლი, მეორეში—689 და მესამეში—879 კომლი. ამ გვარი აზრი წარდგენილ იქმნა ქსნის ბოქაულისა დუშეთის მაზრის უფროსთან წარსადგენად, სადაც ჯერ არს.

ამ აზრს ბოქაულისას ჩვენც ვეთანხმებით და საჭიროც არის მისი სისრულეში მოყვანა, მით უმეტესს, თუ ეცდებიან და სოფლებს რიგიანს მამასახლისებს ამოურჩევენ. მაშინ იმ წვალებასა და ვაებაში არ ვიქმნებით, როგორშიაც ამ ჟამადა ვართ. ქსნის ხეობაზედ ეხლა თექვსმეტი სამამასახლისო ირიცხება, ამ თექვსმეტ სამამასახლისოში მხოლოდ ერთი მამასახლისი იპოვება, რომელსაც საქმის გაგება აქვს და წერა-კითხვა იცის, დანარჩენებმა არც წერა იციან და არც კითხვა. ვერც ერთს საზოგადოებაში ვერა ნახავთ რიგიანს კანცელარიას, დავთარს, სადაც საჩივრები და სოფლის სასამართლოს გარდაწყვეტილებანი იწერება და სხვ. არც ერთ საზოგადოებაში არ ინახება ერთი გროში ფული სოფლის გაჭირვების დღისათვის, თუმცა ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოება რამდენსამე თუმანს ჰკრეფავს სოფლის სასარგებლოდ, მაგრამ ამ ფულის ბედიღბლისა მერე აღარავინ არა იცისრა, და დღეს, ამ გაჭირვების დროს, როდესაც თითქმის დანა ყელთან არის მოსული, ერთს გროშს ვერ გამოიტანს ვერც ერთი სოფელი. ყოველ დღე მაზრის უფროსის განკარგულება მოდის მამასახლისებთან, საზოგადოების ფულით წამლები იყიდეთო, ხოლერა კარზედ გვადგას და თავს ვუშველოთო, მაგრამ რითი? მისდგომიან მამასახლისები სოფელს და ეხლა ჰკრეფენ ფულს, სოფლებში ერთი წიოკობა და ვაება სდგას წამლების ფულის აკრეფის გამო. წყევლასა და ლანძღვას იტანენ ეხლა, თუმცა შეეძლოთ ეყიდნათ წამლება, სოფლის ფული რომ შენახული ჰქონოდათ.

რაც შეეხება სასოფლო სამართალს, სად რა არის? სად არის ან საჩივრების გარჩევა, ან საქმის გათავება და ან სასამართლოს გარდაწყვეტილების აღსრულება! საქმეს რასმეს გაათავებენ და დამნაშავეს გადაუწყვეტენ რასმეს—ვინ აასრულებს, ან რის ძალით? მიდიან და მოდიან მომჩივარი გლეხები თავიანთ სუდია-მამასახლისთან. კვირაობით ყაყანით თავდება სასოფლო საქმეები და სხვა უქმე დღეებში „წუწუას ყლაპვით"!

მაზრის უფროსის ყოველივე განკარგულება იგზავნება ბოქაულთან, ბოქაულისა მამასახლისებთან დ ეს უკანასკნელნი-კი—თუ სოფლის მღვდელი შინ არ არის—შენი მტერია, ვერ შეასრულებენ ბოქაულის განკარგულებას სამ-ოთხ თვეშიაც-კი, რადგან თითონ მოხელეებმა წერა-კითხვა არ იციან და მღვდელიც ხშირად შინ არ არის ხოლმე. მამასახლისმა უნდა აიღოს ჯოხი, გაიაროს ზოგმა ოცი, ორმოცი, ორმოც-და-ათი ვერსი, ბრძანებით ჩამოვიდეს ბოქაულთან ახალგორს და პირად შეიტყოს ბოქაულის ბრძანების შინაარსი. ხშირად ასე მოხდება ხოლმე, რომ თვით ბოქაული უნდა გაჰყვეს მამასახლისს და შეასრულოს მისი საქმე. სწორედ ამ დროს მოდის საჩქარო მთავრობის რაიმე მოწერილობა და საქმე გვიანდება, მხოლოდ იმისთვის, რომ ბოქაული მამასახლისის საქმის აღსასრულებლად არის წასული. რა ჰქმნას აქ ბოქაულმა?! ამასთანავე კერძო საქმეც ბევრი იხლართება: დანაკარგს დროით ვერავინ მისდევს, ქურდს საჩქაროდ მიყოლა უნდა და მამასახლისები მანამ ბოქაულის ბრძანებას მღვდელს წააკითხებენ, ქურდი ცხრა მთას იქით გასცილდება. ამის გამო საქონლის დაკარგვა ხშირია და ქურდ-ბაცაცებიც არ გვაკლია.

ა. ერისთავი

---

## წვრილი ამბავი

ჩილში, განსაკუთრებით კალპარაიზოში, ინფლუენცა ხალხს მუსრს ავლებს.

— პარიჟის მსოფლიო გამოფენისათვის, რომელიც 1900 წელს უნდა გაიმართოს, მარსის მინდორი პატარა ადგილად მიუჩნევიათ და გარდაუწყვეტიათ, რომ ბულონის ტყეში გამართოთ გამოფენაო.

— ბერლინში გარდაცვლილა ერთი 73 წლის უცნაური კაცი, რომელსაც 18 წლიდგან მოკიდებული სულ წვრილ-წვრილად უწერია, რაც-კი დაუხარჯავს. მაგალითებრ, მისის ანგარიშით, 18 წლიდგან 73 წლამდე 628,738 სიგარა მოწევია, ამათში 43,692 სხვის ნათხოვარი ყოფილა და დანარჩენში-კი 260 მან. 83 კაპ. გადაუხდია; 82 შალვარი გაუცვეთია, 74 სერთუკი, 62 წყვილი ჩექმა, 296 პერანგი, 2762 მან. 50 კაპ. გლახებისა და მოსამსახურეებისათვის „საჩუქრად" დაურიგებია და 13,345 მან.-კი სასმელ-საჭმელში დაუღევია.

— ინგლისში ამას წინად ახალი არჩევანები იყო. პალატაში სულ 669 წევრი იქმნა ამორჩეული, რომელნიც აი რა და რა მოხელეობისანი არიან: 21 ბანკირი და ფინანსისტია, 143 ვექილი, 18 ლუდის მექარხნე და არაყის გამომხდელი, 2 აფთიაქარი და ხურდა-მოვაჭრე, 15 მთა-მადნის პატრონი, 8 დიპლომატი, 9 ინჟინერი, 6 უძრავ ქონებათა მმართველი, 10 ფერმერი და მიწად-მოქმედი, 83 დიდის მამულის პატრონი, 10 ვაჭარი, 15 მუშათა წარმომადგენელი, 57 მემანუფაქტურე, 10 ექიმი, 55 სოდაგარი, 1 სასულიერო წოდებაში ნამყოფი, 35 ჟურნალ-გაზეთის გამომცემელი, 35 ძმა და შვილი პერებისა, 18 არავითარს საქმეზედ არა მყოფი, 19 გემ-ხომალდის პატრონი, 21 სასამართლოს მოხელე, 4 ბირჟის მაკლერი, 9 უნივერსიტეტის პროფესორი, 13 სხვა-და-სხვა ხელობისა და წარმოების მომქმედი. ჯარ-ოფიცრიდგან 54 წევრია: 20 კაპიტანი, 4 პოლკოვნიკი, 3 გენერალ-ლეიტენანტი, 8 პოდპოლკოვნიკი, 10 პორუჩიკი, 1 გენერალ-მაიორი, 4 მაიორი, 2 კაპიტანი 1-ლ რანგისა და 1-ც კონტრ-ადმირალი.

---

## დეპეშა

28 ივლისი

**ლონდონი.** დღევანდელს სეფე-სიტყვაში ნათქვამია, რომ საკანონმდებლო სამუშაონი დამთავრებული იყო ჯერ ისევ წინა პარლამენტის დათხოვნამდე და ამიტომ საჭირო არ არის, რომ ერის წარმომადგენელნი შეკრებილნი იყვნენ უჩვეულებრივო დროსაო. დედოფალი სხვათა შორის აცხადებს, რომ იმედია, პარლამენტი, თავის კრებათა დაწყების დროს, განაგრძობს წინანდელ სესიათა სასარგებლო კანონდებულებათაო.

საზოგადოებათა პალატაში ადრესის პროექტის კითხვის დროს ლიბერალებმა განაცხადეს, რომ მთავრობა საზოგადოებათა პალატის ნდობით უნდა სარგებლობდეს, ეხლანდელი მთავრობა ამ ნდობით თავს ვერ მოაწონებს და სწორედ ეს საკითხია გადასაწყვეტი; დანარჩენს სხვას იმდენი მნიშვნელობა არა აქვსო.

29 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრისა გუბერნატორების მიმართ: „რადგან მეტად დიდ-ძალი ფულია გადადებული ხალხისათვის მისდა გამოსაკვებად და სათესლედ, ამიტომ განსაკუთრებულს სიძნელეს შეადგენს ამა ფულის უკანვე დაბრუნების სახსარის გამოძებნა; ნასესხი ფული ხალხს პურის ნაყიდობის კვალობაზედ რომ ვსთხოვოთ, ეს მძიმე გარდასახადად დააწვება კისრად და თუ ვინიცობაა პურის ფასმა დაიწია, იძულებულ აქმნება ყოველ სესხად მიღებულ ფუთ პურის საფასურის გადასახდელად ორი და სამი ამდენი საკუთარი პური გაჰყიდოს. ასეთი პირობანი გლეხთა მეურნეობას სიქას გამოულევს და გადუხდელი გარდასახადი ბლომად მოიყრის თავს. მავნებელ შედეგის ასაცილებლადა და იმის გამო, რომ საჭიროა ფრთხილად მოვეკიდნეთ ეკონომიურს მდგომარეობას მკვიდრისას, რომელსაც განსაკუთრებულად მძიმე წელიწადი დაუდგა, მე ვამჯობინე საწრეულოდ, საცდელად, ხალხს 1891 წელს სესხად მიცემული საკვებად და სათესლედ პური, შეძლებისამებრ, პურადვე გადავახდევინოთ, იმ ანგარიშით, რომ ფუთზედ ფუთი პურივე გადაიხადონ. ხელმწიფე იმპერატორმა მოიწონა ესე ჩემი აზრი. ეს სესხი გლეხებს შეუძლიანთ ფულადაც დააბრუნონ და ამ შემთხვევაში ნასყიდობის ფასი უნდა გადაიხადონ და პურადაც, ფუთ მიღებულ პურზედ ერთის ფუთის პურითვე; თუ ისეთი პური აქვს სესხად მიღებული, როგორიც იმ ადგილას არ მოდის, შეუძლიან იმის მაგიერ ადგილობრივის პურით გადაიხადოს სესხი, ხოლო ეს პური ფასით უნდა უდრიდეს სესხად მიღებულ პურის ფასს; პურით გარდახდა მხოლოდ იმ სესხისა შეიძლება, რომელიც 1891 წლის მოუსავლობის გამო აღებული. რადგან პურით გადახდა სესხისა გლეხთათვის განსაკუთრებულ შეღავათად ჩაითვლება, ამიტომ იგივეა ვალდებული მის შენახვასაც იმ დრომდე, ვიდრე საბოლოოდ გამოირკვევა, რა დანიშნულება უნდა მიეცეს ამ პურს. შენახულს პურს თვალ-ყური უნდა ადევნოს ერობამ ადმინისტრაციის ზედამხედველობით. პურის გარდახდევინება დაეკისრება ერობას, რომელსაც ადმინისტრაციაც უნდა დაეხმაროს. კანონით დაწესებული ნასესხებ პურის დაბრუნების პასუხის-მგებელობა ერობათ მაინც არ აეხდებათ და ამ გვარად ნასესხების გარდახდევინებას მხოლოდ ის მოჰყვება, რომ მკვიდრისაგან დაბრუნებულს პურს მთავრობა გამოაკლებს იმ საზოგადო ჯამს, რაიც ამ სესხის ვალად ითვლება ერობებზედ. ფულად ეს პური ისე იანგარიშება, როგორც დასჯდო-

მია თვით ერობას“. შემდეგ ცირკულიარში ნათქვამია, რომ პური კარგის ღირსებისა უნდა იყოსო, აღნიშნულია პურის ღირსების გამორკვევის საშუალებანი და ყურადღებაა მიქცეული იმ გარემოებაზედ, რომ ეს ღონისძიება მხოლოდ საცდელად არის შემოღებული, რათა გამოირკვეს, მერმისში რა გვირად უფრო მოსახერხებელი იქნება სესხის დაბრუნებაო.

**ლონდონი.** ასტრაბადში მოხდა უწესოება, სასულიერო წოდების მიერ გამოწვეული, რადგან ეს წოდება ამტკიცებდა, რომ ხოლერა სპირტეულობის ყიდვამ გააჩინაო; ხალხმა სასმელის დუქნები აიკლო და რუსეთის ქვეშევრდომ სომეხ მოვაჭრეთა საქონელი დალეწა და დაამტვრია. რუსეთის ელჩმა რუსეთის მთავრობას დახმარება მოსთხვა და ერთი კანონერკა და 25 ყაზახი გაუგზავნეს; რუსეთის თეირანელი ელჩი თხოულობს, რომ რუსეთის ქვეშევრდომთ ზარალი უნდა ეზღოთო.

სიმლიდგან იუწყებიან დღეს, რომ ემირის წინაალმდეგ აჯანყება თანდათან ძლერდებაო; ავღანიის მტერი ტომნი შეკავშირდნენ ემირის წინაალმდეგ. ემირი დიდად სცდილობს და ყოველსავე ღონესა ჰხმარობს ეს უშველებელი ამბოხება მოსპოს და უკვე 40,000 ჯარი შეჰკრიბა.

**ბერლინი.** „საიმპერიო მაჩვენებელში“ გამოცხადებულია, რომ თავისის თხოვნისამებრ, სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრი გერფურტი და იმის ადგილას დაინიშნა მინისტრ-პრეზიდენტი, გრაფი იელენბერგიო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივლისი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაკეთე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,80 | 7,82 | — ,, |
| ჯამაყნის კუპონები . | 156 | 156 3/4 | — ,, |
| სანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 234 1/2 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 222 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილ. სახ. ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99 1/2 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 3/4 | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | „ | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | |
|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | | . |
| მე-3 „ „ „ „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |


# განცხადებანი

საკომერციო კურსები

(ტფილისი მთის ქუჩა, № 9)

ამით ვაცხადებ, რომ ამა წლის ივნისში ეს მეათედ შეასრულეს სპეციალური საკომერციო სწავლა მოსწავლე ქალებმა და ვაჟებმა იმ პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ, და მიეცათ კიდეც ჯეროვანი მოწმობანი. ვისაც სურს საკომერციო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი სამსახურში მიიწვიოს, შეუძლიან მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს.

საკომერციო კურსებში მიღება დაიწყება 1 ენკენისთვიდგან. პროგრამისა და კურსების წესდების მიღება და დაბარება შეიძლება კურსების სადგომიდგან და ძმათა წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ. (24—80—7)

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—81)

გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—8)

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5

2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5

3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5

4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80

5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50

6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30

7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური

# გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილი** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—9)

Maison Hermann-Lachapelle, J. BOULET & C-ie, successeurs **31-33.** Rue Boinod à PARIS.

ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წ.

**ოთხი ოქროს მედალი**, პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ მიღებული **1889** წ.

განუწყვეტლად მომქმედი მანქანა საკეთებლად



ყოველის გაზის სასმელისა: ლიმონადისა, სოდას წყლისა და შუშხუნა ღვინოებისა.

ერთად-ერთი მანქანა, შიგნიდან დმოვერცხლილი.

იფონი ყოველის ფორმისა და ფერისა:

დაწვრილებითი კატალოგი უსასყიდლოდ იგზავნება.

(5—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდ-დე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუდიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში №.